დადგენილება № 87/2020 – ახალი კორონავირუსის (COVID-19) საფრთხის ამოწურვამდე სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში ცვლილების ერთჯერადად დამტკიცების შესახებ

დადგენილება № 87/2020
15 დეკემბერი, 2020 წელი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „წ“ ქვეპუნქტის, აკადემიური საბჭოს 2020 წლის 15 დეკემბრის სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციების ურთიერთშეჯერების საფუძველზე (აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი № 43),

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში ახალი კორონავირუსის (COVID-19) საფრთხის ამოწურვამდე ერთჯერადად ცვლილების შეტანა და მისი მე-4 მუხლის 4.7. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.7. ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის საფრთხის ამოწურვამდე შეჩერდეს კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 12 ივლისის №8 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-11.4 პუნქტის „ა“ ქვეპუნტის მოქმედება.“

2. დადგენილება გადაეგზავნოს სასწავლო დეპარტამენტს, ორივე ფაკულტეტის დეკანებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ორივე ფაკულტეტის მიმართულებათა ხელმძღვანელებს;
3. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებ-გვერდზე www.tsc.edu.ge;
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).

ნანა შარიქაძე
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე